

NEO-BABYLONIAN LAWS (LNB)

ახალ-ბაბილონური კანონები

CHAREKISHVILI NINO

Professor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

Rustavi Highway N22a, 0114, Tbilisi, Georgia

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

Abstract: From the middle of the second millennium BCE, following the weakening and eventual overthrow of Hammurabi's Old Babylonian Dynasty, the Assyrian Empire established military supremacy over much of the Near East, including Babylon. By the late seventh century BCE, however, the combined forces of Babylonians and Medes decisively defeated the Assyrians, and the Neo-Babylonian Dynasty (625-539 BCE) emerged as the political and military successor to the Sargonid kings of the Neo-Assyrian Empire. Under these circumstances, Babylon regained both its economic and military strength.

During the reigns of Nabopolassar and Nebuchadnezzar, deliberate efforts were made to emulate the achievements of Hammurabi's dynasty more than a millennium earlier. This included large-scale temple and public building projects, social reforms, scientific (especially astronomical) and literary activities, as well as the consolidation of legal and bureaucratic organizations. This politically and culturally sophisticated Babylon – immortalized in biblical and classical writings through its ziggurats and the Hanging Gardens – became the center of Near Eastern power. Yet, by the end of the sixth century BCE, the expanding Persian state under Cyrus the Great conquered Babylon, incorporated it as a satrapy, and thereby ended independent local rule in Mesopotamia.

Fifteen legal stipulations from the Neo-Babylonian Laws have survived, though neither a prologue nor an epilogue is preserved. The extant tablet may represent either a copy of a damaged original or a compilation assembled from incomplete sources. The surviving laws address matters such as agriculture and irrigation, agency transactions (purchases by power of attorney), the sale of slaves, unauthorized ritual acts, marriage, marital property, and inheritance. They can be thematically divided as follows:

Property and Agriculture: These laws address land parcels, agricultural disputes, land tenure, and compensation for damages.

- Field ownership (i 1-20);
- Damage caused by grazing (i 21-34);
- Damage to an irrigation canal (i 35-41);
- Concerning the mule (i 42-ii 3);
- Forgery of documents (ii 4-14).

Marital Property and Inheritance: These laws include regulations concerning dowries, marital acquisitions, and the distribution of inheritance.

- Inheritance and marital agreement (iii 3-22);
- Dowry: (iii 23-31; iii 32-36; iv 9-25; iv 26-v 4);
- Distribution of Inheritance: (v 32-44, vi 1ff.);

Legal Disputes and Punishment: These laws specify claims, penalties for magical or ritual acts, and issues concerning the sale of slaves.

- Sale of a female slave (ii 15-23);
- Magical or ritual acts (ii 24-45);
- Incomplete case description (iii 1-2).

The laws pertain primarily to the class of free persons (*amelu*), though the slave (*ameluttu*) is also mentioned.

Keywords: Assyriology, Mesopotamia, Neo-Babylonian, Law.

ნინო ჩარეკიშვილი

პროფესორი, დოქტორი,

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

მის.: რუსთავის გზატკეცილი N22ა, 0114,

თბილისი, საქართველო

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

აბსტრაქტი: მეორე ათასწლეულის შუა პერიოდიდან, მას შემდეგ, რაც დასუსტდა და საბოლოოდ დაემხო ხამურაბის ძველი ბაბილონური დინასტია, ასურეთის იმპერიის სამხედრო უპირატესობა ვრცელდებოდა ახლო აღმოსავლეთის უმეტეს ნაწილზე, მათ შორის ბაბილონზეც. თუმცა, ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოს, როდესაც ბაბილონურმა და მიდიურმა ძალებმა გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს ასურელებზე და ახალ-ბაბილონური დინასტია (ძვ.წ. 625-539 წწ.) გახდა ახალ-ასურული იმპერიის სარგონიდი მეფეების პოლიტიკური და სამხედრო მემკვიდრე, ბაბილონმა დაიბრუნა ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე.

ახალ-ბაბილონელი მეფეების, ნაბოფალასარისა და ნაბუქოდონოსორის მმართველობის პერიოდში, შეგნებულად ცდილობდნენ მიეზამათ ათასწლეულზე მეტი ხნის წინანდელი ხამურაბის დინასტიის მიღწევებისთვის. ეს მოიცავდა ტაძრებისა და საზოგადოებრივი შენობების პროექტებს, სოციალურ რეფორმებს, სამეცნიერო (განსაკუთრებით ასტრონომიულ) და ლიტერატურულ საქმიანობას, იურიდიულ და ბიუროკრატიულ ორგანიზაციებს და ა.შ. სწორედ ეს არის ის ბაბილონი, თავისი პოლიტიკური და კულტურული დახვეწილობით, რომელმაც ზიქურატებითა და ბაბილონის დაკიდებული ბალებით ასახვა ჰპოვა ბიბლიურ და

კლასიკურ ნაწერებში. თუმცა, ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს, გაძლიერებული სპარსული სახელმწიფო კვიროს დიდის მეთაურობით ბაბილონში შეიჭრა. კვიროსმა ბაბილონი თავისი იმპერიის სატრაპიად აქცია, რითაც მესოპოტამიაში დამოუკიდებელ ადგილობრივ მმართველობას ბოლო მოეღო.

ახალ-ბაბილონური კანონებიდან შემორჩენილია თხუთმეტი სამართლებრივი დებულება. არ არის შემორჩენილი არც პროლოგი და არც ეპილოგი. ფირფიტა დაზიანებული ორიგინალის ასლია, ან წარმოადგენს არასრული წყაროებიდან შედგენილ კრებულს. შემორჩენილი კანონები მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და ირიგაცია, შესყიდვები მინდობილობით, მონების გაყიდვა, რიტუალური მოქმედების უნებართვო შესრულება, ქორწინება, საქორწინო ქონება და მემკვიდრეობა. კანონები თემატურად ასე შეიძლება დაიყოს:

ქონება და სოფლის მეურნეობა: ეს კანონები ეხება მიწის ნაკვეთებს, სასოფლო-სამეურნეო დავებს, მიწის მფლობელობას და ზიანის ანაზღაურებას.

- მინდვრის პატრონობა: (i 1-20);
- სამოვრებით მიყენებული ზიანი: (i 21-34);
- სარწყავი არხის დაზიანება: (i 35-41);
- ჯორს ეხება: (i 42-ii 3);
- დოკუმენტაციის გაყალბება: (ii 4-14).

საქორწინო ქონება და მემკვიდრეობა: ეს კანონები მოიცავს წესებს, რომლებიც დაკავშირებულია მზითევთან, ქორწინებაში შეძენილ ქონებასთან და მემკვიდრეობის განაწილებასთან.

- მემკვიდრეობა და საქორწინო შეთანხმება: (iii 3-22);
- მზითევი: (iii 23-31; iii 32-36; iv 9-25; iv 26-v 4);
- მემკვიდრეობის განაწილება: (v 32-44, vi lff.);

იურიდიული დავები და დასჯა: ეს კანონები განსაზღვრავს პრეტენზიებს, ჯადოსნური ქმედებებისთვის დაწესებულ სასჯელებსა და მონების გაყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

- მონა ქალის გაყიდვა: (ii 15-23);
- მაგიური ან რიტუალური მოქმედებები: (ii 24-45);
- საქმის არასრული აღწერა: (iii 1-2).

კანონები მხოლოდ თავისუფალი ადამიანების (amelu) კლასს ეხება. ასევე მოხსენიებულია მონა (ameluttu).

საძიებო სიტყვები: ასირიოლოგია, მესოპოტამია, ახალ-ბაბილონური, კანონები.

კანონები

1. (i 1-20). [...] მინდვრის¹ ბატონის² თანდასწრებით [...] მინდვრის ბატონის თანდასწრებით [...] მინდვრის ბატონი [...] დაწერეს³ [...] ორი წელი [...] მეფე [...]
2. (i 21-34). [...] კაცი⁴ [...] მინდორს [...] სამოვრებს⁵ [...] ის სამოვრებს [...] ჩვენება, რომელსაც ის მისცემს [...] მინდორს [...], მან უნდა მისცეს [მარცვლეული] მინდვრის ბატონს (მისი) მეზობლის⁶ მოსავლიანობის შესაბამისად; [...] რამდენიც] აძოვა, მან უნდა მისცეს მარცვლეული⁷ (მისი) მეზობლის (მოსავლიანობის) შესაბამისად.
3. (i 35-41). [კაცი, რომელიც გათხრის] თავის ჭას⁸ სარწყავი არხისთვის⁹, არ გაამაგრებს¹⁰ მას [...] გაირღვევა¹¹ და ამით [დაიტბორება] თავისი მეზობლის მინდორი, მან უნდა მისცეს [მარცვლეული] მეზობლის (მოსავლიანობის) შესაბამისად [მინდვრის მფლობელს].
4. (i 42-ii 3). [...] ჯორი¹² [...] მან უნდა მისცეს.
5. (ii 4-14). კაცი, რომელიც დაბეჭდავს (თიხის) ფირფიტას¹³ სხვისი სახელით, როგორც მინდვრის ან სახლის მფლობელი (ანუ ვინც იყიდა), მაგრამ არ აფორმებს მინდობილობის ხელშეკრულებას¹⁴ ამ საქმეზე ან არ იღებს ფირფიტის ასლს¹⁵ – ის კაცი, ვის სახელზეც არის დაწერილი¹⁶ დაფა და ნასყიდობის საბუთი, ის მიიღებს¹⁷ მინდორს ან სახლს.
6. (ii 15-23). კაცი, რომელიც მონა ქალს გაყიდის¹⁸, (შემდეგ) მის მიმართ აღიმკვრება საქმე¹⁹, რათა წაართვან იგი – გამყიდველმა მყიდველს უნდა მისცეს ვერცხლი (სასყიდელი ფასი) თავისი საწყისი ოდენობით ნასყიდობის საბუთის მიხედვით. თუ მას შვილები ეყოლება

¹ eqlu – მინდორი, ველი, არეალი.

² bēlu – ბატონი, პატრონი; მფლობელი.

³ šatāru – წერა.

⁴ amelu – თავისუფალი წრის კაცი.

⁵ re'u – სამოვრები, ძოვს.

⁶ itû – მეზობელი, საზღვარი, მეზობლად მყოფი (მინდორი, მიწის ნაკვეთი), ახლოს, მახლობლად.

⁷ uttatu – მარცვალი, თესლი, ქერი; წონის ერთეული: 1 მარცვალი – 1/180 შიკლს.

⁸ būru – ჭა, აუზი, ცისტერნა, ორმო.

⁹ mašqītu, mašqu – წყარო, სარწყავი ადგილი, წყლის დასალევი ადგილი.

¹⁰ danānu – გამაგრება, გამლიერება, გამყარება.

¹¹ batāqu – დარღვევა, გაჭრა, გახვრეტა, წყლის დინების „გადამისამართება“.

¹² parû – ჯორი.

¹³ ṭuppu – (თიხის) ფირფიტა, დოკუმენტი, წერილი.

¹⁴ našpartu – წერილი, rakāsu (a/u) – შეკვრა, შებმა, rikiltu – შეთანხმება, ხელშეკრულება, riksu – ხელშეკრულება, კონტრაქტი.

¹⁵ gabarû – ასლი, დუბლიკატი.

¹⁶ šatru – დაწერილი.

¹⁷ leqû (ilqe) – აღება (ხელში), მიღება.

¹⁸ nadānu (iddin) – მიცემა, ჩუქება; გადაცემა, მიღება, გაგზავნა, ბეჭდის დასმა, ნების დართვა; ana kaspi nadānu – გაყიდვა.

¹⁹ baqāru(m), M/NB usu. paqāru – პრეტენზია, ბრალის დადება, დაბრალება; დავა, კამათი; სარჩელის აღძვრა ვინმეს წინააღმდეგ.

(მყიდველის საკუთრებაში ყოფნისას), მან უნდა მისცეს ნახევარი *შიკლი* ვერცხლი თითოეულზე.

7. (ii 24-45). ქალი²⁰, რომელიც ასრულებს (მაგიურ) მოქმედებას²¹ ან რიტუალურ განწმენდას²² (ზემოქმედების მიზნით) კაცის მინდორზე, [...] ან ნავზე²³, ან ღუმელზე²⁴, ან სხვა რაიმეზე – ხეების (ან: ტყის)²⁵ შორის ასრულებს რიტუალს, მან უნდა მისცეს მინდვრის ბატონს მისი მოსავლის სამმაგი. თუ იგი ასრულებს რიტუალურ განწმენდას ნავზე, ღუმელზე ან სხვა რაიმეზე (მასზე ზემოქმედების მიზნით), მან უნდა გადაიხადოს სამმაგი ქონებაზე მიყენებული ზარალისთვის. თუ მას დაიჭერენ [რიტუალური განწმენდისას] კაცის [სახლის] კარზე (მასზე ზემოქმედების მიზნით), ის უნდა მოკლან.

(iii 1-2). მისი საქმე სრულად არ არის დაწერილი (აქ).

8. (iii 3-22). კაცი, რომელიც თავის ქალიშვილს ათხოვებს თავისუფალი წრის²⁶ წევრზე, ხოლო (სიძის) მამა დაწერს თავის ფირფიტაზე ვაჟიშვილის²⁷ გარკვეულ ქონებას და გადასცემს მას თავის შვილს, სიმაძრი კი ჩაწერს ქალიშვილის²⁸ მზითვს²⁹. ისინი ურთიერთშეთანხმებით უწერენ ფირფიტებს ერთმანეთს³⁰ – ისინი არ შეცვლიან თავიანთი ფირფიტების ვალდებულებებს. მამა არ შეამცირებს ფირფიტაში ჩაწერილ ქონებას შვილის სასარგებლოდ, რომელიც მან აჩვენა თავის სიძეს. ხოლო თუკი მამა, რომელსაც ცოლს ბედისწერა წაართმევს (= გარდაიცვლება), მეორე ცოლს შეირთავს და ვაჟები შეეძინება, მეორე ცოლის ვაჟები მიიღებენ მისი ქონების დარჩენილი ნაწილის მესამედს.

9. (iii 23-31). კაცი, რომელიც თავის ქალიშვილს მზითვს სიტყვიერად დაჰპირდება, ან ფირფიტაზე დაწერს, (ხოლო) მოგვიანებით ქონება³¹ შემცირდება³², მან თავის ქალიშვილს მზითვი უნდა მისცეს დარჩენილი ქონების შესაბამისად; სიმაძრი³³ და სიძე³⁴ ურთიერთშეთანხმებით ერთმანეთის ვალდებულებებს ვერ შეცვლიან.

²⁰ amēltu – თავისუფალი ქალი, მადილოსანი.

²¹ nēpešu – მოქმედება, აქტივობა; epustu – (magical) procedure, ritual.

²² takpertu(m), NB also takpistu – purification (ceremony).

²³ eleppu – ნავი, გემი.

²⁴ udunmāhu – (kind of) brick-kiln. jB lex.; = Sum. – utunu.

²⁵ iṣu – ხე, ტყე.

²⁶ mar amelu – თავისუფალი წრის კაცი.

²⁷ māru – ვაჟიშვილი.

²⁸ mārtu – ქალიშვილი.

²⁹ nudunnū – საქორწინო საჩუქარი.

³⁰ aḫāmiš, aḫāmeš – ერთმანეთს.

³¹ nikkassu – ანგარიშ(ებ)ი, ქონება.

³² imṭū – ზარალი (ბიზნესში), შემცირება.

³³ emu – მამამთილი, სიმაძრი.

³⁴ ḫatanu – ქორწინებით ნათესავი: 1. მამამთილი; 2. სიძე.

10. (iii 32-36). კაცი, რომელიც თავის ქალიშვილს მზითვს მისცემს და მას ვაჟიშვილი ან ქალიშვილი არ ჰყავს და ბედისწერა³⁵ წაართმევს (= გარდაიცვლება) – მისი მზითვი დაუბრუნდება მამის სამკვიდროს.
11. (iv 1-8). [ცოლი,³⁶ რომელიც ...] ბედ[ისწერა წაართმევს ...] ვაჟს [...] – მან თავისი მზითევი უნდა მისცეს თავის ქმარს ან მას ვისაც ის ისურვებს.
12. (iv 9-25). ცოლი, რომლის ქმარი მზითვს აიღებს და რომელსაც არ ჰყავს ვაჟიშვილი ან ქალიშვილი, ქმარს ბედი წაართმევს – მისი მზითევის ექვივალენტური მზითევი უნდა მიეცეს მას მისი ქმრის ქონებიდან. თუ ქმარმა გადასცა მას საქორწინო საჩუქარი³⁷, ის მიიღებს ქმრის საქორწინო საჩუქარს მზითვთან ერთად და ამგვარად მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება. თუ მას მზითვი არ აქვს, მოსამართლე შეაფასებს ქმრის ქონების ღირებულებას და გადასცემს მას გარკვეულ ქონებას მისი ქმრის ქონების ღირებულების შესაბამისად.
13. (iv 26-v 4). კაცი, რომელიც ცოლს შეირთავს და ის უშობს მას ვაჟებს, მოგვიანებით ამ *ამელუს* ბედი წაიყვანს (= გარდაიცვლება), და შემდეგ ეს ქალი გადაწყვეტს სხვის სახლში შესვლას (= გათხოვებას) – მან უნდა წაიღოს თავისი მამის სახლიდან მოტანილი მზითევი, და ყველაფერი, რაც მისმა ქმარმა მას გადასცა, და კაცი, რომელსაც იგი აირჩევს, მას ცოლად მოიყვანს; სანამ ის ცოცხალია, მათ შეეძლება ქონების ერთობლივი გამოყენება. თუ ის თავის (მეორე) ქმარს უშობს ვაჟებს, მისი გარდაცვალების შემდეგ მეორე და პირველი (ქმრების) ვაჟებს მისი მზითევის თანაბარი წილები ერგებათ. [...]
14. (v 5-31). [...] მისი ქმარი [...] მან უნდა წაიღოს [...] თავის მამასთან [...].
15. (v 32-44, vi lff.). კაცი, რომელიც ცოლს შეირთავს და ის უშობს მას ვაჟებს, მოგვიანებით ამ ცოლს ბედი წაიყვანს (= გარდაიცვლება), და (კაცი) შეირთავს მეორე ცოლს, რომელიც მას ვაჟებს უშობს, შემდეგ კი მამა თავის ბედზე წავა (= გარდაიცვლება) – პირველი ცოლის ვაჟებმა უნდა მიიღონ მამის ქონების ორ მესამედი, ხოლო მეორე (ცოლის) ვაჟებმა – ერთი მესამედი. (ხოლო) მათი დები, რომლებიც ჯერ კიდევ მამისეულ სახლში ცხოვრობენ [...].

კოლოფონი

(vi x+1-2). ქალაქ ბაბილონის [... მეფე].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა/REFERENCES

- Court, J.R. (1995). Codex Collections from Mesopotamia and Asia Minor. Scholars Press.
- Driver, G. R. Miles, J. (1955). The Babylonian Laws: 2. Transliterated Text, Translation, Philological Notes, Glossary. Oxford: Clarendon Press.

³⁵ šimtu – ბედი, ბედისწერა, (ბედი =) სიკვდილი, სიკვდილის დღე.

³⁶ aššatu – ცოლი, მეუღლე.

³⁷ širiku – საჩუქარი, ძღვენი; širku – მზითვი.

- Head, R. (2010). "The Business Activities of Neo-Babylonian Private 'Slaves' and the Problem of Peculium PhD diss., Johns Hopkins University.
- Holtz, Sh. E. (2009). Neo-Babylonian Court Procedure. Cuneiform Monographs 38. Leiden, The Netherlands: Brill.
- Johns, C. H. W. (1904). Babylonian And Assyrian Laws, Contracts and Letters. New York. Charles Scribner's Sons.
- Jursa, M. (2005). Neo-Babylonian Legal and Administrative Documents: Typology Contents and Archives. Guides to the Mesopotamian Textual Record 1. Münster, Germany: Ugarit-Verlag.
- Meek, T. (1950). The Neo-Babylonian Laws. Pp. 197-98 in Ancient Near Eastern Texts Relating to the Old Testament, 2d ed. 1955, 3d ed. with supplement 1969. Ed. by J. B. Pritchard. Princeton: Princeton University Press.
- Oelsner, J. (2001). The Neo-Babylonian Period. In Security for Debt in Ancient Near Eastern Law, edited by Raymond Westbrook and Richard Jasnow. Culture and History of the Ancient Near East 9. Leiden The Netherlands: Brill.
- Peiser, F. E. (1889). Anhang. Pp. 823-28 in Sitzungsberichte der Königlich Preussischen Akademie der Wissenschaften zu Berlin.
- Petschow, H. (1959). Das neubabylonische Gesetzesfragment. Zeitschrift der Saviigny- Stiftung für Rechtsgeschichte 76: 36-96.
- Roth, M.T. (1989). Babylonian Marriage Agreements, 7th-3rd Centuries B.C. Alter Orient und Altes Testament 222. Kevelaer: Butzon & Bercker; Neukirchen-Vluyn: Neukirchener Verlag.
- Roth, M.T. (1997). Law Collections from Mesopotamia and Asia Minor. V 6 (2).
- Saporetti, C., (1979). Le leggi medioassire. Cybernetica Mesopotamica, Data Sets: Cuneiform Texts 2. Malibu: Undena Publications.
- Saporetti, C. (1984). Le leggi della Mesopotamia. Studi e manuali di archeologia 2. Firenze: Casa Editrice le Lettere.
- Szlechter, E. (1971). Les Lois Neo-Babyloniennes. Revue Internationale des Droits de l'Antiquite 18: 43-107.
- Szlechter, E. (1972). Les Lois Neo-Babyloniennes. Revue Internationale des Droits de l'Antiquite 19: 43-127.
- Szlechter, E. (1973). Les Lois Neo-Babyloniennes." Revue Internationale des Droits de l'Antiquite 20: 43-50.